შპს ,,თ.ზ.დ.''

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(დაზუსტებული)

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს "თ.ზ.დ."-ს (შემდგომში ,,კომპანია") ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (,,მსს ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით,რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს და ასევე პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

· კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

· ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;

· სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

· კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

· თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის

დირექტორი: ზურაბ ზედგინიძე

მთავარი ბუღალტერი: შოთა გლოველი

შპს ,,თ.ზ.დ."

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2018**	**31/12/2017**
ნეტო ამონაგები	4226533	3750000
საქონლის გაყიდვიდან	4226533	3750000
გაყიდვების თვითღირებულება	-3515002	-2728687
საწყისი მარაგები	-426222	0
მარაგების შესყიდვა	-3434442	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	611093	0
საერთო მოგება	711531	1021313
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-221519	-138398
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-425196	-167442
სულ საოპერაციო ხარჯები	-646715	-305840
საოპერაციო მოგება	64816	715473
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	64816	715473
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	64816	715473
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	64816	715473
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	715473	0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	780289	715473

ხელმომწერი პირები:

დირექტორი: ზურაბ ზედგინიძე

მთავარი ბუღალტერი: შოთა გლოველი

შპს ,,თ.ზ.დ.''-ს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ერთეული ლარი) 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობა		
ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2018**	**31/12/2017**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	98384	37775
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	120782	178680
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	12008	0
მარაგები	476195	426222
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	476195	426222
ძირითადი საშუალებები	92590	88072
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	799959	730749
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	19670	15276
ანარიცხები	0	0
სულ ვალდებულებები	19670	15276
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	780289	715473
გადაფასების რეზერვი	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	780289	715473
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	799959	730749
სულ მოკლევადიანი აქტივები	707369	642677
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	19670	15276

ხელმომწერი პირები:

დირექტორი: ზურაბ ზედგინიძე

მთავარი ბუღალტერი: შოთა გლოველი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თ.ზ.დ." (შემდგომში „კომპანია" დარეგისტრირდა 2006 წლის 08 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი არის: საქართველო, თბილისი, სოფელი დიღომი, ,,თეთრდუქანი" . მისი ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვჭრობა ავეჯიის, ხალიჩებით და სანათი მოწყობილობებით

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

	2018 წ.	2017 წ.
წილის მფლობელი:		
ნინო გაგნიძე	100%	100%

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ

2 მომზადების საფუძვლები

2.1.მსს ფასს-ის პირველად გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. 2019 წელს კომპანია პირველად ამზადებს ამ სტანდარტის მიხედვით ანგარიშგებას, შესაბამისად ახალ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი, რაც განხორციელდა მსს ფასს სტანდარტის სათანადო მოთხოვნების მიხედვით. ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

2.2. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, მომგებიანობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.
კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებსა და ხარჯებზე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან, შეფასებების გადახედვა მოხდება ყოველწლიურად და კორექტირებები აისახება იმ წლის ფინანურ ანგარიშგებაში, როდესაც შესაბამისი ცვლილება მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 3.2. შენიშვნაში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1.აქტივებისა და ვალდებულებების კლაციფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაცი ციკლის ან 12 თვის განმავლობაში(რომელიც უფრო გრძელია), ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის" კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2.ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, ძირთადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
ძალოვანი, თბოტექნიკური, და ტურბინული მოწყობილობები	4-6
ელექტროძრავები და დიზელგენერატორები	4-6
კომპიუტერეული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	2-4
სპეციალური ინსტრუმენტები	4-5
მსუბუქი ავტომობილები	5-7
სხვა ავტოტრანსპორტი	4-7

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი(რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო რირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პეროდისათვის როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

3.1.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის ასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს პროდუქციის მარაგებს, რომელიც განკუთვნილია გადასაყიდად.

კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.2.ამონაგების აღიარება

ორი ტიპის ამონაგების აღიარება ხდება: ამონაგები საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან, , ამონაგები სასაქონლო მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან.

საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების ჩატარების მიხედვით, რაც დასტურდება მხარეების მიერ მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებით და არის საფუძველი შემკვეთის მიმართ მოთხოვნის წარმოშობისა.

საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, ეს არის საკუთრების უფლების გადაცემის მომენტი, და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება. ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ტოლია.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. პროცენტის ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს,

ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ:

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით

მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება.

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად შეიცვალა მოგების გადასახადი, ახალი კანონის მიხედვით გადასახადის განაკვეთი ნულოვანია იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარცება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით., ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, ასევე ზოგიერთი ტრანზაქცია რაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ითვლება მოგების განაწილებად. აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასაახადის აქტივი ან ვალდებულება.

სხვა გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა) აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება შესაბამისი ვალდებულება. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში არსებული ფულისაგან და ბანკის ანგარიშებისაგან

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურება.

ფინანსური ვალდებულებებისა და ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით, რომელსაც ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული მათ შეძენასთან.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია შემდეგნაირად(გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე, რომელის წარმოიშვებოდა ინსტრუმენტის გაყიდვისას ან სხვა ფორმით გასვლისას):

სავალო ინსტრუმენტები_ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გარდა სავალო ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ესენი შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

ინვესტიციები სხვა კომპანიაში_თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლებით, თუ ასეთი არსებობს.

4 **ამონაგები**

ამონაგები რეალიზაციიდან	4 226 533
ამონაგები გაცემული იჯარიდან	0
სულ ამონაგები	**4 226 533**

5 **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება**

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3 515 002

6 **ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი**

შრომის ანაზღაურება	221 519
საწვავის ხარჯი	9 797
დაზღვევის ხარჯი	5 455
კომპიუტერის ხარჯი	1 630
ცვეთის ხარჯი	11 019
კომუნალური ხარჯი	8 920
მიმდინარე და რემონტის ხარჯი	48 696

მივლინების ხარჯი	6 880
საკანცელარიო ხარჯი	3 608
საკონსულტაციო ხარჯი	14 914
სხვა საოპერაციო ხარჯი	284 513
სულ საოპერაციო ხარჯი	**616 951**

7 სხვა

სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)	29764
არასაოპერაციო ხარჯი	29764

8 მოგების გადასახადის ხარჯი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები, ახალი კოდექსით მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მესაკუთრეებზე დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდის განაწილებისას გადასახდელი მოგების გადასახადი დაიანგარიშება განაწილებული დივიდენდის ოდენობიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებული დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. ამასთანავე საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის გადახდილი დივიდენდი არ იბეგრება

ამავე კოდექსში ცვლილებების თანახმად მოგების გადასასახდით შეიძლება დაიბეგროს გარკვეული ოპერაციები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადი აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

9. ძირითადი საშუალებები

ფინანსური ჯგუფი	საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვრისათვის	ძირითად საშუალებათა შემოსვლა	ძირითად საშუალებათა გასვლა	ამორტიზაციის ხარჯი	საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31დეკემბრისათვის
ნაგებობები	47 684	0	0	2 384	45 300
მანქანა - დანადგარები	20 000	0	0	4 000	16 000
ინვენტარი და ოფისის აღჭურვილობა	7862	0	0	1 572	6 290
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	12 526	15 537	0	3 063	25 000

10. სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2018	2017
120 782	178 680

11. მარაგები

	2018	2017
მარაგები რომელიც საწყობშია	476 194	426 222
სულ	476 194	426 222

გარემოს დაცვის საკითხები.

საქართველოში გარემოს დაცვის რეგულაციების მიერ შესრულება ძალას იკრებს და სახელმწიფო ორგანოების გარემოს დაცვის მიდგომები მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს გარემოს რეგულაციების შესრულების ფარგლებში. ვალდებულების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარებაც. პოტენციური ვალდებულება, რომელიც არსებულ რეგულაციებში ცვლილებებით, სამოქალაქო დავებით ან კანონმდებლობის ცვლილებით არის გამოწვეული, წინასწარ ვერ შეფასდება, თუმცა ასეთი ცვლილებები შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ გარემოში, არსებული კანონმდებლობის პირობებში, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოს დაზიანების თვალსაზრისით.

დირექტორი: *ზურაბ ზედგინიძე*

მთავარი ბუღალტერი შოთა გლოველი

GEORGIA • TZD • LTD 401945632

შპს თ.ზ.დ. ს/კ 401945632

მოგება - ზარალის ანგარიშგება	31/12/2018
ამონაგები	4,226,533
თვითღირებულება	(3,515,002)
საერთო მოგება	**711,531**
სხვა შემოსავლები	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(616,951)
მიწოდების დანახარჯები	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	-
სხვა ხარჯები	(29,764)
საოპერაციო მოგება	**64,816**
ფინანსური შემოსავალი	-
ფინანსური ხარჯი	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა	-
მოგება დაბეგვრამდე	**64,816**
მოგების გადასახადი	-
მოგება წლის ბოლოს	**64,816**

ფინანსური მდგომარეობის უწყისი	31/12/2018	01/01/2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	92,590	88,072
საინვესტიციო ქონება	0	0
ბიოლოგიური აქტივი	0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	0	0
	92,590	**88,072**
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	98,384	37,775
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	120,782	178,680
მარაგები	476,194	426,222
მისაღები დივიდენდები	0	0
მისაღები პროცენტები	0	0
	695,360	**642,677**
მთლიანი აქტივები	**787,951**	**730,749**
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	780,289	715,473
გადაფასების რეზერვი	0	0
	780,289	**715,473**
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	0	0
ანარიცხები	0	0
გადავადებული შემოსავალი	0	0
	0	**0**
მიმდინარე ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	19,670	15,276
მოგების გადასახადის ვალდებულება	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	-12,008	0
გადასახდელი პროცენტი	0	0
გადასახდელი დივიდენდი	0	0
	7,662	**15,276**
მთლიანი ვალდებულებები	**7,662**	**15,276**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	**787,951**	**730,749**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	-	0	**715,473**	**715,473**
მოგება წლის ბოლოს			64,816	**64,816**
გაცემული დივიდენდი			-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	**780,289**	**780,289**

შპს თ.ზ.დ. ს/კ 401945632

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წმინდა მოგება	**64,816**
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	**11,019**
- გადასახადები	-
- ცვეთა	11,019
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	**311**
- სავაჭრო და სხვა მოკლეევადიანი მოთხოვნები	57,898
- მარაგები	(49,972)
- სავაჭრო და სხვა მოკლეევადიანი ვალდებულებები	4,394
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(12,008)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	**76,146**
- მიღებული პროცენტი	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**76,146**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(15,538)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(15,538)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	64,816
- სასესხო ვალდებულების ზრდა	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**64,816**
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	**125,424**
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	37,775
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	-
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	**98,384**
	-